



მ რ მ ვ ს უ ლ ი   მ რ თ რ ბ ი ს   დ ა რ ა ჯ მ უ ლ რ ბ ა   თ ი თ რ ი   ბ ი რ კ ბ ი ს   ო რ ბ ა ნ ო

თეთრი გომის მთავარი მიზანია: განთავისუფლებული საქართველო შეიქმნას ეროვნულ სახელმწიფოდ, რომელიც დამყარებული იქნება ეროვნული ერთობის საძირკველზე და განმსჭვალული ქართული ეროვნული სულის ბრწყინვალე ტრადიციებითა და ქართული ისტორიის იდელებით. — მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო იყო სამეფო. — მე-19 საუკუნის დასაწყისს რუსეთის უხეშო ძალადობით შეწყვეტილ იქნა ქართველი ერის ისტორიის ბუნებრივი სვლა. — კვლავ უნდა აღდგეს საქართველოს სამეფო, რომლის მკვიდრი ტრადიცია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან საძირკველზეა აგებული. — ქართველი მეფე: ეროვნულ ერთობაზე დაყრდნობილი, ერის უზენაესობის გამომხატველია. — ეროვნული ერთობა გულისხმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება იქნება ერთი, მტკიცე, ურყევი და ზეკლასობრივი. — ყველა ქართველი თანასწორ-უფლებიანი და თანასწორ-მოვალეობიანია. — ქართველი ერის სიმდიდრე და მისი მასაზრდოებელი — მიწა; მიწა უნდა მიეკუთვნოს მიწისმომქმედს. — მიწაზე კერძო საკუთრების უფლება შეკავშირებულია ერის წინაშე მოვალეობასთან. — ქართველებსა და აფხაზებს ძალა და სხვა მიწის ყიდვა სავსებით აკრძალული ექნება; — საქართველოს საზღვრები უნდა გაქართულდეს. — შრომისა და კაპიტალის შორის უნდა დამყარდეს თანამშრომლობა ურთიერთ ინტერესთა დაცვით. — საქართველო არის სამეფო. — ეროვნული მოვრობა დაყრდნობილი დარბაზზე, ითანამშრომლებს მეფესთან. — დარბაზი შედგენილია ეკონომიურ და კულტურულ დარბაზად, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან; სოფლისა და ქალაქის მუშა, მრეწველი და ვაჭარი, კალმით მოღვაწე, ხელოვანი, ხელოსანი, მოხელე, მოსამსახურე, ყველა სათანადო ამქარში. — წარგზავნის თავის წარმომადგენელს დარბაზში და ამით თვით ერი დაჯდება ქვეყნის მომწველად. — ამიტომ იქნება საქართველო შრომის სამეფო. — უნდა აღდგეს ქართული კერა და დაკლული იქმნას ქართული მოღვაწე. — ქართველი ერი უნდა გამარჯვდეს. — უნდა კვლავ შეიქმნას მშვენიერი ქართველი ადამიანი. — აღდგენილ და დატული უნდა იქმნას სარწმუნოება. — თეთრი გომის მიზანია: დიდი და დიდები საქართველო; საქართველომ უნდა დაიბრუნოს დაკარგული მიწაწყალი. — საქართველომ კვლავ უნდა შევას შოთა რუსთაველი. — საქართველო და კავკასია ერთი მთლიანობაა და კავკასიის ერთი მჭიდრო კავშირი აუცილებლობა. — ქართველი ერი ჩასდგება თავის ისტორიულ საზღვრებში: გაუშარჯოს საქართველოს სამეფოს!

მ რ მ ვ ს უ ლ ი   მ რ თ რ ბ ი ს   დ ა რ ა ჯ მ უ ლ რ ბ ა   თ ი თ რ ი   ბ ი რ კ ბ ი ს   ო რ ბ ა ნ ო

დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის

თეთრი გომის მეთოდე ყოველთვის მიერ დადასტურებული

ა

ჩვენი ყოყინაა: —  
საპარტიველო უწინარეს ყოვლისა!

1. საპარტიველო უწინარეს ყოვლისა!

ეროვნული ერთობის დარღვევა — თეთრი გომის მიზანი — ახალი მოვლენა არაა; ეს დარღვევა ჩვენი ისტორიაში ყოველთვის არსებობდა და მუდამ ერთი დროშის ქვეშ იყრიდა თავს. — ეს დროშა იყო: მთლიანი და დაუნაწილებელი საქართველოსი; ამ დროშას ატარებდა გერთიანებული და თავისუფალი საქართველო; ხოლო როცა საქართველო უცხო მტერთა კირთებს ქვეშ მოექცეოდა და შინაგან ძალთა მიერაც სუსტდებოდა და ირდებოდა, ყველა ის, ვისაც უყვარდა სამშობლო და უძგერდა გული მისი მთლიანობისა და ერთობისათვის, — ყველა იმ ურთო დროშაში გამოდიოდა, რომელზეც სწრაფად იყო აღბეჭდილი უცვლელი მისწრაფება: —  
საპარტიველო უწინარეს ყოვლისა!

ამ ყოყინით იკრებოდა იგი დარღვევა საგარეო მტრის წინააღმდეგ; ამ ყოყინით უტევდა იგი ქვეყნის დამაპყვეველ ძალებს; ამ ყოყინით იკრებდა იგი თავის გარშემო ეროვნულ ძალებს; და მის ბანაში იმყოფებოდა ყველა, ვისაც უყვარდა საქართველო. ვინც იწვიდა მისი თავისუფლებისადმი გრძობით, ვინც სინსლსა ჰქონდა მისი სიდიდისათვის, ვინც მოუწოდებდა მისი ერთობისაკენ; აქ არის მეფე; აქ არის თავადი; აქ არის მღვდელი; აქ არის ზნაურნი და უწინარეს: ვაჭარი და გლეხი; მწერალი და მგოსანი... ამ პირთა სახელებით ბრწყინავს ჩვენი წარსული, რადგან ეს იყო ის დარღვევა, რომელიც საქართველოს იცავდა და მის ინტერესებს ყველა სხვა ინტერესზე მაღლა აყენებდა.

ახე იყო მარად, სანამ რუსეთმა მხაკვრულად არ მოსპო საქართველო და ამ მოსპობის ხანაშიც მრავალი სისხლი დაიღვრა უწინარეს ყოველისა სამშობლოსათვის. იგივე მისწრაფება: — საქართველო უწინარეს ყოველისა! დაწერა თავის დროშას ახალმა თაობამ. წარსული საუკუნის შესამოკე წლებიდან გამოსულმა და სწამალმა განაცხადა: სამშობლო უწინარეს ყოველისა და სისხლი! ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თაობა და მისი შემდგომი ამ დროში იბრძოდა, სანამ ეროვნული ძალები დაზარალდებოდა მოძრაობამ იგი არ შეაფერხა.

შემოიჭრა ეს ანტიეროვნული და დამარღვეველი მოძრაობა უცხოეთიდან და თან მოიტანა მთავრობის ბრძოლის გაჩაღების აზრი; ერთი წოდების მეთრე წოდების წინააღმდეგ აღმართული მანქანი; ერთი კლასის მეთრე კლასის წინააღმდეგ მომარჯვებული დამხანა; იგი იყო სამშობლოს უარყოფითი და მხოლოდზე მეტოცნებე. ეს მიმართულება იყო მარქსისტული: მენშევიკურ-ბოლშევიკური და ცრუ-სოციალისტური. სიცრუითა და ტყუილით, დემაგოგითა და წაქეზებით, სოციალურ და მოკიდებულებათა გაცალბებითა და გაზვიადებით, მან ერთმანეთს გადაჰყავდა ქართველი ერის შვილები და საშინლად დაუმხინჯა ხალხს ბუნებრივი ეროვნული სწრაფვა, და როცა თვითონ იგი, ეს ანტიეროვნული მარქსიზმი, მისი გამტარებელი სოციალდემოკრატია ისტორიულ მოვლენათა შედეგად იძულებული გახდა საქართველოს რესპუბლიკას სათავეში მოეკცეოდა და ერისათვის ეხელმძღვანელა, მაშინაც კი ვერ მოარჯულა და ერის უმადლესი ინტერესები ვერ შეიგნო;

ამისი შედეგი იყო ის, რომ რუსეთი კვლავ საქართველოზე გაბატონდა. ძველი ეროვნული მისწრაფებისა და ყოყინის: — საქართველო უწინარეს ყოველისა! მიჩუმებამ გამოიწვია ქართველი ერის უბედურება და ამ უბედურების თავდასაბრუნებელ ძალად გახდნა: მენშევიკ-ბოლშევიკი. თეთრი გომის მიზანი, რომელიც იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის, აღადგინა ძველი მოწოდება და ყოყინა: — საქართველო უწინარეს ყოველისა! ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის პირველად ყოველსა ჩვენთვის უწინარეს ყოველისა არსებობს! რომ ჩვენ საქართველოს გარეშე, მამულის იდეის გარეშე, არა ვწარმავთ არც ერთ საერთაშორისო, ინტერნაციონალურ და კოსმოპოლიტურ და სხვა ასეთ იდეებზე; ჩვენი ვცოცხლობთ საქართველოს გულით და ცეცხვით მისი სულით. უწინარეს ყოველისა საქართველო და სხვა ყველა ინტერესი, სხვა ყველა მიზანი მის ენობრივად.

საქართველოს იდეით განისაზღვრება ჩვენი მთავრობის შედგენილობა და ჩვენი მოღვაწეობა. ამ სიტყვისგან: — საქართველო უწინარეს ყოველისა! გამომდინარეობს ჩვენი დარღვევა და ამ დარღვევით ბრძოლა.

ბ.

2. თეთრი გომის დარღვევისა და მისი ბრძოლისათვის

ქართველი მენშევიკების მარქსისტულ - ანტიეროვნული მართვამეობის წყალობით, საქართველო, რომელიც ვერღვემ ხალხმა დაამტკიცა თავისი მტკიცე სუბილი თავისუფლებისადმი. საქართველომ დღეს მწარე გამოცდილებით იცის, რომ რუსეთი, როგორც წესწობილებსაც არ უნდა იყოს იგი. მისი დაუძინებელი მტერია. თეთრი გომის პირველი და უახლოესი ამოცანა არის საქართველოში რუსეთის მოსპობა.

3. საპარტიველო დამოუკიდებლობისათვის

საქართველოს განთავისუფლების მისწრაფებით დარღვეული თეთრი გომის, რასაკვირველია, არა მჭიდროდ, რომ იგი თავისი საკუთარი ძალებით რუსეთს მოერევა. იგი, ცხადია, თავის თავის მოკავშირეს ამ ბრძოლაში რუსეთის წინააღმდეგ ეძებს იმ საერთაშორისო ვითარებაში, რომელიც რუსეთის გარშემო იქმნება.

ბოლშევიკების განმანობრივლებებით რუსეთი დღეს ევროპის საფრთხილია აყენებს და ამ საფრთხის წინუდგება დარღვეული თეთრი ნაციონალ-სოციალიზმისა და ფაშისმისა, რომელიც მას დაუზოგველად ებრძვის. ბოლშევიკური რუსეთი ამ საფრთხის მატარებელია და დატაცება მათ შორის აუცილებელია.

ჩვენი ეროვნული ინტერესები მოითხოვს დავდგეთ მათ რიგებში, ვინც რუსეთს ებრძვის და დავუკავშირდეთ იმ ძალებს, რომელიც რუსეთის წინააღმდეგაა. გარედან დარტყმით დაინგრევა რუსეთი, როგორც ეს წარსულში მოხდა, თუ შინაგანი აფეთქებით. — ქართველი ერი ამის შედეგად განთავისუფლებულია და დამოუკიდებლობის მოიპოვებს.

4. თეთრი გომის მიზანია: განთავისუფლება

საქართველოს განთავისუფლების მოლოდინში ჩვენი მიზანია მოვაშალოთ ის სულიერი და პოლიტიკური ნიადაგი, რომელზეც უნდა აღმოცენდეს ქართული ეროვნული სახელმწიფო.

თითოეულმა ქართველმა თავისი კერძო, კლასის თუ წოდების ინტერესები უნდა ანაცვალოს ეროვნულ ინტერესებს; პირველ რიგში უნდა იდგეს ეროვნული შეგნება და არა კლასობრივი ან სხვა რაიმე; ეროვნული იდეა უნდა იყოს უზენაესობის ხელმძღვანელი თითოეული მოქალაქისათვის. ერის უზენაესობის დებულება უნდა ბატონობდეს. და თვით ერის უზენაესობა დამკვიდრებული უნდა იყოს ეროვნული ერთობის საფუძველზე. ეროვნული ერთობის აზრი ახალი არაა; იგი გამოიცემულია ქართული ისტორიის მიერ და მისი მეოხებით საქართველომ ოქროს ხანა შექმნა. ეს ოქროს ხანა ჩვენი ისტორიის იდეალია. მეცამეტე საუკუნის შემდეგ ეს ეროვნული ერთობა იყო ისტორიული აზროვნების ის ტრადიცია, რომლისათვისაც მრავალი ხანის განმავლობაში დანაწილებული საქართველო იბრძოდნ. რომლის მიზანი მარად იყო; საქართველო დიდი, ძლიერი და კულტურული, საქართველო თამარის ხანისა!

მრავალი სისხლი და ღონე, ჭკუა და დავალი შეეწირა ჩვენს ისტორიაში ამ ერთობისადმი მისწრაფებას, რომლის განხორციელებას გარეშე და შინაური მტრები ხელს უშლიდნ და ებრძოდნ მეცამეტე საუკუნის შემდეგ. ამ ეროვნული ერთობის დროშის მატარებელი იყო მეცამეტე საუკუნის ბრწყინვალე თაობა მამულიშვილები, რომელიც ნიადეგ მოითხოვდა: ყოველი საქმე ერის უმადლესი ინტერესებით განხილულიყო და ამბობდა, რომ „ეთითუელი ჩვენგანი, გლეხია, თავადი, აზნაური, ქალი თუ კაცი, სულ ყველაში ერთად ქართველი ვართ, პირსა და ლხინში განუტრენილ და განუყოფელნი“-თ.

მარქსიზმი ეროვნული ერთობის ქადაგების მაგივრად თვით უარყოფს ერს და წოდებობა, კლასთა ბრძოლა გამოაცხადა უმადლეს მიზნად; ამის შედეგად დაიწყო დაუნდაბელი მისევა ერის ერთი ნაწილისა მეორეზე; დაიწყო ტერორი-მკვლელობა და ერთი ნაწილის მეორეზე გაბატონებისადნ დღითაც და ყველა ამის დასასრული იქნის გახდა, რომ ამ ბრძოლაში ერი დასუსტდა, მოიშალა და მერმე მენშევიკ-ბოლშევიკების საბრძოლო ასპარეზად გარდაიქცა და იღუპება კიდევ უცხო უღელის სიმძიმის ქვეშ.

თეთრი გომისათვის ეროვნული ერთობის გამოხატველია ეროვნული სახელმწიფო, დაფუძნებული იფხაზე, სარწმუნოებაზე, ტრადიციებზე და კლასთა თანამშრომლობაზე. ეროვნული ერთობა არის ერის ყველა ნაწილთა თანამშრომლობა ერისავე საკეთილდღეოდ; ეროვნული ერთობა ნიშნავს ერის წიადში მყოფ სხვა და სხვა ეკონომიურ ინტერესთა თანამშრომლობას, რაზედაც ქართული სახალხო მეურნეობის საფუძველი უნდა დაეშენოს.

ეროვნული ერთობის მიხედვით ყოველივე ერის უმადლეს ინტერესებს უნდა დაექვემდებაროს; ეროვნული ერთობა გულისხმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება იქნება ერთი, მტკიცე, ურყევი, რომელმაც ამასთანავე იქნება ეროვნული და ზეკლასობრივი, რომელიც ქართულ სახელმწიფოს უხელმძღვანელებს დაყრდნობილი მთლიანად ერზე; — მდიდარი თუ ღარიბი, სწავლული თუ უსწავლელი, ვაჭარი თუ მღვდელი, მიწის-მომქმედი თუ ქარხანის მუშა, მოხელე თუ ხელოსანი, მთლიანად ქართველი ერი, და არა რომელიმე მისი ნაწილი, ამ ხელისუფლების საზრუნავი იქნება.

ამ ხელისუფლების მაღლად სდგას საქართველოს მეფე-მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო სამეფო იყო. მეცამეტე საუკუნის დასაწყისს რუსეთის უხეშო ძალადობით შეწყვეტილ იქნა ქართველი ერის ისტორიის ბუნებრივი სვლა. კვლავ უნდა აღდგეს საქართველოს სამეფო, რომლის

მკვიდრი ტრადიცია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან საძირკველზეა აგებული. ქართველი მეფე: ეროვნულ ერთობაზე დაყრდნობილი, ერის უზენაესობის გამომხატველია.

5. ყველა საპარტიველო თანასწორ - უფლებიანი და თანასწორ - მოვალეობიანი.

საქართველოს ბოლშევიკურ რეჟიმში, სადაც რუსული კომუნისტური პარტია არის ყველაფრის ბატონ-პატონი, მძინვარებს სასტიკი უთანასწორობა და ჩაგვრა; ყველა ის, ვინც ბოლშევიკი არაა, მოკლბულია თანასწორობას კანონის წინაშე. — შამინ როცა ბოლშევიკს ყველაფერი შეუძლია ჩაიდინოს და ამისათვის პასუხსაც არ აგებს, ერის უდიდეს ნაწილს აურილი აქვს უფლება თავდაცვის საშუალებისა კანონის წინაშე, მაშინ როცა ვალდებულება, რომელიც მას აქვს დაისრებული იმავე კანონისაგან, ვაცოცხლებით უფრო მძიმეა, ვინც ბოლშევიკისათვის; ბოლშევიკი ბატონია; სხვა კი უკმა.

ეს ყოყინა, თავისთავად ცხადია, ბოლშევიკური რეჟიმის დაშლისათვის ერთად მოისპობა და დამყარდება თანასწორ - უფლებიანობა და თანასწორ - მოვალეობა. თითოეული ქართველი კანონის წინაშე უნდა იქმნას თანასწორი და ერის წინაშე თანასწორივე უფლებით ვალდებული. ყოველი ქართველის პირველი მოვალეობაა სულიერად ან ფიზიკურად იმადეწას. უქმი და გაურჯევი არავინ უნდა იყოს. — ყველამ უნდა აღასრულოს ერის წინაშე ვალდებულება რაიმე ღირებულების შექმნისა. ანუ როგორც ილია ჭავჭავაძე ტყუილად (1882 წ.): „ერის წარმატება ქონებრივი თუ გონებრივი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთწოდებობა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის განურჩევლად და გამოუკლებლად, ერთის მეცადინეობითა და გარჯით ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს“....

ბ.

6. საპარტიველო ერთობის სიმდიდრე და მისი მასპარეობის მიზანია: მიწა უნდა მიეკუთვნოს მიწამომქმედს.

საქართველო უმოავრესად სასოფლო - სამურნეთ ქვეყანა და თეთრი გომისათვის ყურადღებაც აქვთ იქნება მიმართული.

გერ მენშევიკურა ცდებდა და შემდეგ ბოლშევიკურა კოლექტივიზაციამ ქართული მეურნეობა ძირიანებულიად ამოაღო და გადაყარა. მიწის კოლექტივიზაციის გამოცხადებამ და გატარებამ საოცროდ მოსპო და მთელი ვლადიკა და ქარებულე მუშად გადააქცია, გააპროლეტარა. გაპროლეტარებული გლეხები სახელმწიფოს ყმებად გახდნ და მეურნეობა კი რუსეთის საყვლეფ დარგად. თეთრი გომის მიზანია: აღდგეს ქართული სოფელი, აღმოძინდეს სასოფლო მეურნეობა, და გლეხობა, რომელიც ქართველი ერის უმრავლესობას წარმოადგენს, ეთილი ცხოვრების დონეზე ავიდეს. ეს შესაძლებელია სოფლოდ იძით, თუ მიწა მიწისმომქმედს საკუთრებად მიენიქება; მხოლოდ საკუთარი მიწაზე შეიქმნება საკუთარი კერა, იფხაი, რომელიც ყოველი ერის ბურჯია.

სწორედ ამიტომ ეროვნული ერთობისადმი ინტერესები მოითხოვს, რომ მიწა მიწის-მუშას მიეკუთვნოს. ბოლშევიკების მიერ კოლექტივიზაცია - ქმნილი მიწა უნდა გადანაწილდეს და კერძო საკუთრებად დაეკვიდროს მათ, ვინც მიწისმომქმედი. მიწაზე კერძო საკუთრების უფლება შეკავშირებულია ერის წინაშე მოვალეობასთან; მიწა გამოყენებულ უნდა იქმნას საერთო კეთილდღეობისათვის; ეს იმას ნიშნავს, რომ მისი დამუშავება აუცილებლობაა. ამის გამო, რომ მიწა მხოლოდ მიწისმომქმედს საკუთრებად უნდა მიენიქოს და ალიკრძალს უშრომო შემოსავლისა და სპეკულაციის მიზნით მიწის შესყიდვა. მიწის შექმნის უფლება მიეცემა მხოლოდ მას, ვინც მას დაამუშავებს.



6. ქართველი ერის სიმდიდრე და მისი მასწავლებელი — მიწა; მიწა უნდა მიეკუთვნოს მიწისმოქმედს.

7. ქართული მრეწველობა უნდა განვითარდეს მისი შესაძლებლობის ფარგლებში და წარმოასა და კაპიტალს შორის უნდა დამყარდეს თანამშრომლობა ურთიერთ ინტერესთა დაცვით.

8. საქართველო არის სამეფო, ეროვნული მთავრობა დაყრდნობილი დარბაზზე, ითანამშრომლებს მეფესთან. დარბაზი შედგენილია ეკონომიურ და კულტურულ (ამქართულ, „პროფესიულ“) წარმომადგენელთაგან.

9. ეროვნული თავდაცვისათვის მოწყობილი უნდა იქმნას ჯარი თანამედროვე დებულებათა მიხედვით და დადებულ იქნას სახელმწიფოებთან სათანადო კავშირი.

10. უნდა აღსდგეს ქართული კერა და დაცულ იქნას ქართული მოღვაწე.

11. აღდგენილ და დაცულ უნდა იქმნას სარწმუნოება.

12. ეროვნული განათლებისა და საერთოდ ქვეყნის კეთილმოწყობისათვის უნდა განხორციელებულ იქნას ყოველი ზომა კულტურისა და ცივილიზაციის უმაღლეს დონემდე ქართველი ერის ასაყვანად.

13. თეთრი გიორგის მიზანია: — დიდი და დიადი საქარტიველო.

14. საქართველო და კავკასია ერთი მთლიანობაა და კავკასიის ერთა მჭიდრო კავშირი აუცილებლობა.

თეთრი გიორგის საგანგებო:

თეთრი გიორგის მოძრაობას ხელმძღვანელობს მმთავარი.

მეთაურთან არსებობს მთავარი სამდივნო და საბჭო, მეთაურის მიერ დანიშნული. რაზმებს ხელმძღვანელობს რაზმის უფროსი, აგრედვე მეთაურის მიერ დანიშნული.

წევრთა მიღება:

წევრებს ღებულობს რაზმის უფროსი, ამტკიცებს მეთაური.

მთავარი სამდივნო:

მთავარი სამდივნოსა და საბჭოს წევრთა რიცხვს განსაზღვრავს მეთაური. მთავარი სამდივნო აღმასრულებელი ორგანოა და საბჭო — მრჩეველი. იმ შემთხვევაში, თუ მეთაური გადადგა, მისი უფლებების აღსრულება ეკისრება მთავარი სამდივნოს ყრილობის მოწვევამდე.

ყრილობა

ყრილობის მოწვევის საქართველობის, დროს, ადგის და დღისურვეს აწვებს მეთაური. ყრილობაზე დასწრება შეუძლია ყოველ თეთრიგორგელს; პარისზე გარდა მთავარი რაზმები, თითოეულ ხუთ კაცზე აგზავნიან ერთ წარმომადგენელს, ან მანდატს. იქ სადაც რაზმი არ არსებობს, თითოეული პირი მეთაურს ამცნობს თავის შეხედულებას ყრილობის დღისურვეს და წარმომადგენელს საკითხთა შესახებ. ყრილობა არჩევს წარმომადგენელ დღისურვეს და გამოსტყავს თავის შეხედულებას.

ყრილობა წინასწარ მეთაურს.

ეროვნული ერთობის დარღვევასთან თეთრი გიორგის მეთაური — **შალვა მაღლაკელიძე**.

თეთრი გიორგის წარმოშობა, მისი მიზანი და ტაქტიკა.

მოხსენება კ. სალაიას

თერთმეტი წელი შესრულდა, რაც თეთრი გიორგის მოძრაობა იშვა და ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა, მაგრამ თუ მას განსაზღვრული სახე მხოლოდ აქ უცხოეთში მისცა, მთავარი იდეები ამ მოძრაობის მასშტაბზე დაკვირვებული, საქართველოში არის დაბადებული.

საქართველოს დაპყრობამდე ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკებად დაყოფილ ახალგაზრდობამ მწვედვე იგრძნო ერთობის საჭიროება, როდესაც ჩვენი ერი მწარე სინამდვილის წინაშე დადგა და თავისუფალი არსებობა დაკარგა. უწინ არსებული ანტიგაბრიელის ახალ თაობათა შორის შედგა და თითოეული ახალგაზრდა განუყოფელი პოლიტიკური მიმართულებისა, ალტერნატიული დებულებების მონაწილეობას რუსეთის წინააღმდეგ მისწრაფებულ ყოველგვარ დემონსტრაციებში და გამოსვლებში; ამ დროს ის თავს გრძობდა მხოლოდ ქართველად და არა რომელიმე პარტიის წევრად. იგი მხოლოდ სამშობლოს დახმარებას იტყობდა და მისი სიცოცხლით იყო შეპყრობილი, ყოველ მათგანს მხოლოდ ეროვნული იდეალი ამოძრავებდა და სწორედ ამ შეგნებებიდან იშვა თეთრი გიორგის იდეა, როდესაც ერთი აზრით და მისწრაფებით გამსჭვალულმა ახალგაზრდობამ მოისურვა მთლიანობისათვის ხელისშემშლელი პარტიული ბოროტების დასწვრვა.

საქართველოში არსებულ პირობებში ძნელი იყო ამ იდეათა ორგანიზაციული ჩამოყალიბება და ამიტომ მისი გამოკვეთა და განსაზღვრული პოლიტიკური სახის მიცემა ჩვენ გვეუბნენ, ემიგრაციაში გადმოსხვეწილი, როგორც იდეა, ისე სახელწოდება ჩვენი მოძრაობისა, ამწარად, საქართველოდან მომდინარეობს.

საუკეთესო საბუთი თეთრი გიორგის იდეათა სიძლიერის არის ის მოვლენა, რომ 1922 წლიდან დღემდე საქართველოდან გადმოსულ ახალგაზრდებს მწვენიერად ესმით ჩვენი მოძრაობის ძირითადი დებულებები, ადვილად და სწრაფად ითვისებენ მას და ხშირად გვედავებიან, რომ ჩვენ ახალი არაფერი შეგვიქმნია, რომ ეს იდეები მათ საქართველოშიაა პიონატი, რომ იქაც ისინი ჩვენი აზრებით იმედობენ.

თავიდან ჩვენ მხოლოდ მთავარი პრინციპები ჩამოვყალიბებთ, რომელსაც დღეს კვლავ ადასტურებს თეთრი გიორგის მეთაურ ყრილობა.

ეს ძირითადი დებულებები ორგანიზაციის დაარსებიდან მიღებული, ზოგ ახალ დებულებათა დამატებით, როგორც არის საქართველოს სამეფოს აღდგენა, რასაკვირველია, სრულიად უცვლელი დარჩება და წარმოადგენს მთავარ დასაყრდენ საფუძველს ჩვენი მოძრაობისა.

დროთა მსვლელობაში შესაძლებელი არის ზოგიერთ ცვლილებათა შეტანა დაგვირგვინს. რადგან ჩვენ რეალისტები ვართ და კვალ-და-კვალ მივსდევთ ცხოვრების სინამდვილეს.

საწვავადგომები ცხოვრება მუდმივი ცვლილების პროცესშია, და ვინც მას ჩამოაჩენს და დროზე აღდგამს ვერ აუღებს, ის განწირულია.

უცვლელი და სამარადისო დარჩება ეროვნული ერთობის პრინციპი და დიადი დევნი: —

საქარტიველო უწინარეს პიროვნობის, რომელიც წინაპარტიული გამომგვამოა ამდერიან და გარდაუვალი ნების შესასრულებლად, და ჩვენი ისტორიის ბრწყინვალე ეპოქის შესაქმნელად აღბეჭდილია თეთრი გიორგის დროში და ყოველი ჩვენთაგანის გულში.

ამ სამ ისტორიულ სიტყვაში მოცემულია ჩვენი მოძრაობის მთელი შინაარსი და ფილოსოფია.

საქართველოს სადიდებლად მოვლენილი თეთრი ჭაბუკი, თეთრი რაზმები მჭადრი, შეინახეს და მარად უკვდავს აქ უღიდეს ღობეზე. ჩვენ მას შევფიცეთ, რომ ერთგულად და უნაეროდ ვემსახუროთ ჩვენს ერს და მის დიდებს, ჩვენ მას აღუთქმეთ მხნეობა და თავდადება და თეთრი გიორგის რისხვა და ეგი მას, ვინც ამ ფიცს ვასტებს.

სუსტნი, მერყევის, მოლატენი მუდამ ემს არსებულან.

განდიდების მანით შეპყრობილი, პირადი ამბიციით დაავადმყოფებულნიც ყოველთვის ყოფილან.

ჩვენი ორგანიზაციაც ამ მხრივ გამოხატვის არ შეიქმნა, მაგრამ დღეს, გაუმწინეს შემდეგ, საბედნიეროდ, ჩვენს რჩევებში ასეთი ელემენტები არ მოიპოვებინა და ჩვენ შევძელით ამიერიდან ვიმუშაოთ და ვიმოქმედოთ წინააღმდეგ ყოველგვარი შფოთვისა და ჩიროკედლობის გარეშე, ყოველ შემთხვევაში. მომავალში დიდი სიფრთხილე გვმართებს ახალ წევრთა მიღების დროს, რომ კვლავ ახალი სენი არ შემოგვგვაროს.

ჩვენი ემიგრაციის უმრავლესობა, დიდი ხნის უმოქმედობით ილაჯ-გაწყვეტილი, ჭოხბსა და ინტრიგების ქსელს წარმოადგენს. ამ ჭოხში ჩაბნა ჩვენ არ გვინდა და დროს უქმად ტარებისათვის არა გვცალია, ამიტომ ჩვენ აქ სასარგებლოდ არ მოგვანია ორგანიზაციის გაფართოება და არც მოიბეზრება გარდა ძალიან მცირე ნაწილისა ჩვენი მოძრაობისათვის სასურველი და გამოსადეგი.

ჩვენ ბევრჯერ გვიტყვამს და კიდევ ვიმეორებთ, რომ აქ, უცხოეთში, ვამხადებთ კადრს, რომ საჭირო მომენტში საკმაოდ გაწრთვნილი წევრები გვეყავდეს. — ჩვენ კვლავ ვიმეორებთ, რომ ხარისხი უფრო გვინტერესებს, ვინც რაოდენობა. სულ სხვაა საქართველოში, სადაც ჩვენი მოძრაობა მასშტაბი იქნება, დაეყრდნობა ყველა მშრომელ ელემენტებს და ხალხის ყველა ფენებში შეიჭრება.

ჯერჯერობით კი, სანამ ბედმა ემიგრაციაში ყოფნა გვარგუნა, ჩვენ უნდა მივაქციოთ უდიდესი ყურადღება ახალგაზრდობის აღზრდას და ეროვნულად გაწრთვინას. აღზრდის საკითხი არის უდიდესი პირობებთანაა ჩვენი მოძრაობისა.

აღზრდის საშუალებით თანამედროვე ნაციონალიზმი ანუ ფაშიზმი ახალი სახის ცხოვრების შესაქმნელად პიროვნების შინაგან არსებას, მის ხასიათს სცვლის, რომ ადამიანი თავის კერძო პიროვნულ ზრახვას უპრყოფით უმადლეს შეგნებამდე ავიდეს, რომელიც გამოიხატება ღირსებად და ღირებულებად პიროვნებისა.

იგი ამზადებს ახალ ტრას, შეგნებულს, ჯანსაღს, რომელიც უნდა იცნობდეს ცხოვრების ყოველ დარგს, ბუნებასა და მის კანონებს, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს, მისი უაღრესად უნდა იყოს განვითარებული ფიზიკური და სულიერი ენერჯია, სრული შეგნებით და ნებაყოფლობით უნდა იქნა, რომ სამშობლო მისთვის კულტა და ცხოვრება მოვალეობაა მის წინაშე.

ცხადია, ანტიეროვნულ ბოლშევიკურ-მენშევიკურ ძალთა მიერ ვაპარატებსა საქართველოში თეთრი გიორგის მთავარი საზრუნავი იქნება დაკმეულ სულიერ კულტურის აღსადგენად დიდი მუშაობის გაწევა და ამისათვის აღზრდის მთელი სისტემის შექმნა, რომ ქართველის მთავარი მიზანი და იდეალი იყოს მხოლოდ სამშობლო და მისთვის სამსახური.

თავიდან ჩვენ საშინელის უღმრთელობით შეგებობით რუსულ გავლენას, დაეყენეთ რა სრულიად გარკვეულად რუსეთ — საქართველოს დამოკიდებულების საკითხი. ამ მხრივ ჩვენს მიზანს სასწრაფო მივიღწეოთ და დღეს თანამედროვეობის რუმ რუსეთისა და ყოველგვარ რუსულის გავლენის მოსაპობის საქმეში ემიგრაციის თეთრი გიორგი დიდი სამსახური გაუწია, ეს ანტირუსული პროპაგანდა მომავალშიც, ცხადია, უნდა გავრცელებულ იქნას, მაგრამ ამავე დროს ჩვენი მოხალისეები მივაქცივით ქართულ საკუთრებას, რამდენიმე მილიონ, ხშირად თუ მშობლებს ემიგრანტულ მძიმე პირობებში საკუთარი თავის დასაცავად, ჩვენი ქვეყნისა და თავისუფლებისათვის, რომელიც ეროვნული ერთობის და დამოუკიდებლობისათვის უნდა დავიცავდეთ.

სული პროპაგანდა მომავალშიც, ცხადია, უნდა გავრცელებულ იქნას, მაგრამ ამავე დროს ჩვენი მოვალენი ვართ ყურადღება მივაქციოთ ჩვენი მოხარული თაობის მდგომარეობას უცხოეთში, სადაც ქართველი ახალგაზრდები ქართულ სკოლას მოკლებულნი, იძულებული არიან სწავლა-განათლება უცხო სასწავლებლებში მიიღონ, ხშირად თუ მშობლებს ემიგრანტულ მძიმე პირობებში გამო საკმაო დრო არა აქვთ ბავშვთა ეროვნულად აღზრდის საქმეს ყურადღება მიაქციონ, გადავვარების გზაზე დგებიან. შესაძლებლობის ფარგლებში ამ მხრივ უნდა იყოს ყველა საჭირო ზომები მიღებული.

რაც შეეხება ემიგრანტულ პოლიტიკურ პარტიებთან თუ ბ. გორდანიას ეგრო-წოდებულ „ფრონტთან“ დამოკიდებულებას, ჩვენ იმავე ტექტიკას ვადავებართ, რაც თავიდან დავიწყეთ; მთავარი პრინციპი ჩვენი მოძრაობისა არის ეროვნული ერთობა და მთლიანობა; ამ პრინციპთან გამომდინარეობს ზემოაღნიშნული საკითხის პასუხი.

ბ. გორდანიას და მისი ფრონტი წარმომადგენს მეორე ინტერნაციონალის ქართულ სექციას, ხოლო ეს მეორე ინტერნაციონალი თანაგრძნობს და მხარს უჭერს კომუნისტურ-კონკლოხაციის მტერსა და ჩვენი ქვეყნის დამატკეველს; გარდა ამისა, ამ მეორე ინტერნაციონალმა ეროვნისა და მისი პარტიის სახით აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენი სამშობლოს დასაცავაში, — ბ. გორდანიამ ემიგრაციაში, ნაცვლად ეროვნული ბრძოლის ხელმძღვანელობისა, რომლისთვისაც იგი მოწოდებული იყო, — პარტიაში მუშაობა არჩია და ეროვნული ინტერესები ამ უკანასკნელს ანაცვალა. უცხოეთშიც ქართულ საკითხს ყველგან ზიანი და მარცხი მოუტანა, ამიტომ მისი მოქმედება ეროვნული თვალსაზრისით ჩვენ მიუღებლად და მავნებ მოგვაჩნია.

სხვა პოლიტიკური პარტიებიც თავიანთი დაძველებული და დრომოქმული იდეოლოგიით წარმოადგენენ უპრყოფთ მოვლენას და არარაობას.

საერთოდ, ჩვენ არა გვრწამს პარტიათა კავშირები და კომპრომისები; ცდა ამ მხრივ უნაყოფიოდ და დროს დაკარგვად მოგვანია. ჩვენ გვრწამს მხოლოდ ორგანიზული მთლიანობა გარკვეული ეროვნული მიზნით და იდეოლოგიით; ხოლო ჩვენს პარტიებს კი ჭკონიათ, რომ თანამშრომლობისათვის საკმარისა დამოუკიდებლობის პრინციპის აღიარება და სხვა არაფერი.

ასეთი შეხედულება არის ყალბი, რადგან თუ ჩვენ ასევე არ გავითვალისწინებთ მთავარი გეზი ეროვნული ბრძოლისა და განთავისუფლებულ საქართველოს აღორძინებისა, თუ ახლავ არ დავისახებთ მკაცრად ეროვნული პრინციპი, რომელიც თანამედროვე განახლებულ ნაციონალიზმით შთაბერავს ჩვენს ერს ახალ სულს, ახალ ძალასა და ენერჯიას, მაშინ ჩვენს მუშაობას არავითარი აზრი არ ექნება და დამოუკიდებლობა რომ ხვალ მოვიპოვოთ, მას ვერ დავიცავთ, და ისე ვაჭკრება, როგორც ეს 1921 წ. მოხდა.

რაც შეეხება ზოგიერთ ცალკე ეროვნულ ძალებთან თანამშრომლობას, თუ ჩვენ დავინახავთ ამის აუცილებელ საჭიროებას, წინააღმდეგ არ ვიქნებით, ვინაშემდეგ ვანდებთ რა ყოველივეს ეროვნული ინტერესის უზენესობის იდეით.

ჩვენ უდიდეს ყურადღებას ვაქცივთ საგარეო მუშაობას ამავე დროს მთელი ჩვენი გულისყური მიჰყვება საქართველოსაკენ. რამდენადაც შესაძლებელია, ჩვენ ვეცნობით ადგილობრივ სულსკვლას, იქ მოხდაც ცვლილებებს და ამით ხელმძღვანელობთ ჩვენს მოქმედებაში.

მძიმეა ხვედრი, რომელიც ჩვენ ბედმა გვარგუნა, მაგრამ ამავე დროს ღამისა და შინაარსისა, რადგან საშუალება გვექმნება მსხვერპლის ვადებისა და თავდასწრვისა, რომელიც არის უდიდესი სათნოება და მალა ადგას თვით ადამიანის ცხოვრებაზე.

ვიქმნდ მტკიცედ, ერთსულოვნად, შევესრულოთ სახელგანთქილ წინაპართაგან გადმოცემული ანდერძი, ვაგვეეთ თეთრი გიორგის მანათობელ ვარსკვლავს, ჩვენი მოძრაობის ქემპარტიების ფანატიკური რწმენით, რომელიც მიგვიყვანს აუცილებელ გამარჯვებამდე.

**ზირსა შიზან ბამბარბა**  
მოხსენება სიმონ ბერეფიანისა

უწინარეს ყოველისა მინდა მაღლობა მივიღებნა განგებას, რომ ჩვენი თაობა დაიბადა, აღიზარდა და ამბობის უბედობის ხანაში.

ჩვენმა თაობამ იხილა მეფის რუსეთის ბატონობა, სამი წლის დამოუკიდებლობა, დამოუკიდებლობის დაკარგვა და ძველი ისტორიული მტრის, რუსეთის, ისევ შემოცვლა საქართველოში, ბედნიერნი ვართ, რომ ეს ფურცლები ჩვენი ისტორიისა, დაწერილი სისხლით, ცრემლითა და სიზარულთაა ჩვენვე ვინაშით ჩვენზე თვალბოთ.

მეფის რუსეთმა „ნიკოლაევის შინაში“ ვაგვიანა ქართული სხეული. ხანმოკლე დამოუკიდებლობა მძიმე ტლანქი მოსახეობა გადაავლი, მაგრამ ქართულად ამოსუნთქვა ვერ მოასწრო, რათა ბედმა გვიძუბთლა და წითელი, ძმათა სისხლში ამოვლებული, ისევ რუსული ქუჩი მოგვასხა.

გვიძუბთლა ბედმა, მაგრამ: „არას გვარგებს სიმძიმეში, უსარგებლო ცრემლთა დენა; არ გარდავა გარდუვალიდ მომავალი საქმე შენა; წესი არის მამაკთან მოქრება, ქირთა თმენა.“

ვამიძისა, დიდი ქართველისა, რომელსაც დამოუკიდებლობის ხილვაც არ ედირას:

„ასეთია ქვეყნის ბრუნვა: ზოგ ახარებს, ზოგ ახარებს, არის გვარგებს ბედს და ბედს, თუ კი ერთხელ ჩაიჭრა, მთელი მგოსანი მანდილ აყრილ სამშობლოში, მაგრამ ერთად ერთი და იგივე აზრი ასულდამოვლებია: „ქირსა შიზან გამარბება“. უღირსი ოპტიმიზმი, უბედობის ბედად ქვეყნა, ოპტიმიზმი ქართული ბუნების სულია, დაბადებით თანდაყოლილი, ოპტიმიზმით ჩვენმა მიწამ დაგვაჯილდოვა: ცად აკიდულ, თოვლით დაბურულ ამყამ მთებმა; მწვენი მომცინარე ველებმა; ცხელმა მზემ და კასკაში მოვარემ. მადლი უფალსა, რომ ქართველებად გავაჩინა და მოგვცა სამოსახლოდ ულამაზესი კუთხე ღეღამიწისა!

ჩაიარა ბედმა: მაგრამ რაოდენჯერ ჩაუვლია ბედს ჩვენი გრძელი ისტორიის მანძილზე და რაოდენჯერ დაგვბრუნებია უკან?! ხშირად, საუკუნოებითაც, ნანგრევებზე გვიცხვობია, რომ შემდგომ სრულ-სრულად აგვეგო, რომაელ, ბერძენ, სპარს, არაბ, მონღოლთა და თურქთა ჯარებს „ვალეუნიბლით ზურ-მუხარად-კაპარქ, აბჯარსა“. გაგვეთლეს, — ვთლავდით! განადგურებდა გვიქადდენ, — მაინც ვიცოცხლებოთ და თვით ნადგურდებოდნენ; რჯულს გვიბილწავდენ და ქრისტეს ჯვარი მეოცე საუკუნემდე მოვიტანეთ და ვივლით ამ წმიდა ჯვართი მომავალ საუკუნებში, — სანამ დედამიწა არსებობს და ჩვენი მფარველი თეთრი გიორგი გზას გვიკავებს.

საქართველოს ბედს უნდახდეს და უბედობაც; ერთი და იგივეა და მეორეც, როგორც განგებით მოვლენიებული, და ჩვენი არსებობის გადარჩენის, ჩვენი მეობის შენარჩუნების საიდუმლოებაც იმაშია. რომ არავინ გაგვეკვირებინა, ვერაფერი გავაკვირებდეს, არავინ და დამოუკიდებლობა არ მოვიტანა: — როგორც მოსულან. ისევ ისე წავლენ: „წყალობა წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებინაო“, — იყო, არის და იქნება ქართული დევნი.

საქართველო ხშირად ერთ ტულ ბიჭსა ჰგავდა, ღეთის ანბარა მტრებულს, რომელიც ომად იხრებდა, ეკრება ძალას, ღონიერდება, ვაუკვდება, აბჯარს იხსამს და შეტევას გადადის, რომ დაკარგული გვირგვინი და ტახტი დაიბრუნოს და „მიმან შექმნა“ — ძველებურად — „ვანათლოს სამყარო და კიდით კიდე“.

ქართველ მეფეს ბაგარტოვანთა გვირგვინი ხშირად ჩალმაზე შეუცვლია, ქრისტეს რჯული — მაშინველის რჯულზე, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებით, პოლიტიკური ფანდი სამშობლოს გადარჩენად, საქართველოს გასაძლიერებლად.

ქართველი მეფე დიდი მსახიობიც უნდა ყოფილიყო: — „ალავო თავთა მათ-თავან კოშკი მეფე-მან და ტყავინ თავთანი წარუქვინა ყვენსა“.

მაგრამ იმავე ქართველმა ვანაშიდანიებულმა მეფემ: „მოიწყო ქართლი და კახეთი, იმერნი ეამად ეყრნეს, ეამად მსხურებდნენ; აშან აღაშენა და ვანავერქო ქართლი, თრიალეთი, ტაშირი, აბოჯი, რომელსა შინა კაცი არილარა იყუნენ; მატა რჯულსა ქრისტიანობისასა და ეკლესიათა...“

ქართველი მეფე ჩალმაში მალულად ბაგარტოვანთა სამეფო გვირგვინს და ქრისტეს ჯვარს ეამობრებოდა, ამით — საქართველოს.

ღეთის მშობელმა საქართველოზე კალთა დაიბრტყა და ზეციით აღმად ანთებული ნაბერწყალი წამოვიდა, რომელიც არასდროს არა ჰჭრება და ჩვენს მიწას დაეცა. ეს ნაბერწყალია, რომ ქართული ეკრას, ხშირად თითქოს ჩამქრალს, აღვივებს, აცხოველებს და ბოლოს ეროვნულ კოცონად აქცევს. ეს ნაბერწყალი — თავდაცვის ინსტიქტი, ეროვნული დინამიკა, ეროვნული ენერჯია, მოქნილი; ხშირად ჩუმია, ხშირად მჭკნარე, მაგრამ მუდამ მარტიული; აღმშენებლობისაა მიმართული.

ქართველს გადავარება გარეგნულად ეტყობა: ოდნავ რო გაფხიკო, ქართველს მიიღებ.

მეფის რუსეთმა ჩვენი თავდა-ანხანდობის მოსყიდვა და გადარბება განიზრახა, გარეგნულად ეთით მოახერხა კიდევ, მაგრამ რუსის დენერლის მუნდირი ჩირმა შესქამა და დღეს, ბეთანის ეკლესიაში, თამარ მეფის სახის წინ, მუსხელებზე დაშვებულ ქართველი მგოსნის გულბანდ ამონახეტი სიტყვები გვემსის:

„შენი ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერთად სხუთ ერთა შორის!“

და როდესაც საქართველოს სამი წლით არგუნა ბედმა დამოუკიდებლობა, მაშინ ხომ აშკარად დამტკიცდა, რომ ჩვენი გადავარება, ჩვენი გადაშენება არც ხბლოს შესძლებია და არც ოქროს, სამი წლის დამოუკიდებლობამ მოგვცა ქართული უნივერსიტეტი, ქართული მუსიკა, ხუთი ქართული ოპერა, ყოველივე ეს შექმნა იმ ნაბერწყალმა, რომელსაც ეროვნულ დინამიკას ვეძახით და რომელიც თურმე ფარულად აღვივებდა მოძინებულ ქართულ ეკრას.

დღეს ისევ ძველ რუსეთის ხელთა ვართ, მაშასადამე; განმეორდა ქართული ისტორიისათვის ძველი ამბავი, შიშოპირა მტერი ცეცხლით და მახვილით, ჩვენი მახვილით დაუხვდით, დამეხრცხდით... აჯანყდით, ისევ დავმარცხდით, დიდი მსხვერპლი გავიეთ: ეროვნულ სამსხვერპლს წინაშე ერთად წარსდგენ ზელი-ხელ ჩაიკიდებულ — კოტე აბხაზი და ხომერკი, ვარდენ წულუკიძე და ჩიკოვიშვილი დიდი ღობუნებთ; საქართველო უწინარეს ყოველისა! ჩვენი ეროვნული გმირი ჭაქუცა ხოლოყაშვილი აქ განისვენებს, უცხოეთში.

მოვილოცავ, რომ ბედმა გარგუნათ ქაქუცას ხილვა, ხილვა იმ ვაყაყისა, რომელიც ქართული ისტორიის ფურცლებზე მოსვენება, გავიღებ მსხვერპლი და მეტის ვადების უფლება არა გვექმნა.

რა ხდება სამშობლოში?  
ერეკლეს ბასრი ხმლი დროებით ილიას დინჯმა აზრმა შესცვალა.

თავდაცვის ინსტიქტი უსისხლოდ, უძნელეს ომს აწარმოებს.

**შედეგი?**  
საქართველოში კეთდება ქართული საქმე ქართველების მიერ და... ვიტყვი მეტსაც — იმ ქართველების მიერა, რომელთაც ქართული სისხლი აქვთ ხელში გავარკობი და შუბლზე მოლატეს სამარცხინო ბეჭედი ახისთ. ამას იხინი ქართული ინსტიქტი სჩადიან; იმ ნაპერწკალის წყალობით, რომელიც ზევით ღვთისმშობელმა ჩამოგვდო და რომლის სისხლსაც უდიდესი ქართველი მოლატეტიც კი გრძობდა.

გვეტყვიან, რომ ყოველივე, რაც კეთდება, კომუნისტური რუსეთის წყალობით არის, ზაქესი, რომინკისი, გზები და სხვა... კომუნისტურმა ხელისუფლებამ მოგვცათ...  
ზაქესი ქართულ მიწაზე სდგას, ჩვენი ღვიძლი შვილის მტკვარის ენერჯია ამუშავებს, რომინკის — ჩვენი რიონის, გზები ჩვენ საკუთარ მიწაზე ვადის, იმ მიწაზე, რომელიც ჩვენი სისხლითა და ოფლით ვაგვიწოდებია.

„ჩვენი თავი რომ ჩვენ გვეუფლოს“, განა ჩვენ ვერ ავაშენებთ გზებსა და ზაქესებს?! თუ ჩვენი მტკვარი და რიონი უარს გვეტყვიან?

ზაქესი საქართველომ აღაშენა, რომ განათოს: სვეტიცხოველი, ქრისტეს ეკლესია, ერეკლე მეფისა და გიორგი მე-13-ის საფლავი — საქართველოს დაკარგული გვირგვინი; ქართული უნივერსიტეტი, ქართული მუსიკეები, ქართული ოპერა, ქართული დრამა, ქართული წიგნი, ქართველი გლეხის და ქართველი მუშის კერა; რომ განათოს ქართული ნამგალი და ჩაქერი, რომლით ხელში ჩვენც, თეთრ-გიორგელნი, ვიმოქმედებთ სამშობლოში. — შრომისა და პატიოსან ოფლის ქვეყანაში.

ვაყაფავ ვეფხვა გვიანობას: — ომ-გადახდომის პატარა კახს ასანძვის ველზე თავი უნაგირზე მიეყრდნო, ტანზე ნაბიჯად გადაფინა და ჩასძინებოდა, ერეკლე თურმე ძილში ჰპირავდა, ქვითინებდა.

„რა ესრეობა? ვაი, ჩვენს თავსა — სწუხდა და რაჯად მდგარი შევიდ ხეესტური, შევეს გამოვდებოდა და უამბო სიზმარი ხეესტორ: — საქართველოს თავით ბოლომდე, მეფის სრა-სახლსა და სამეფო ტახტს ცეცხლი ეკიდა. მტერი სთელავდა ხალხს ფხვით და ერეკლეს ლაშქარი აბჯარ აყრილო იდგა უძრავად.“

მეფე ერეკლეს სიზმარი ახდა, ამას წინაშე მოესწარი, ჩვენი ვაჟი, ქართული სიტყვის არწივო! შენივე ნათქვამია „ვაპა დედის თქვენს, ყოველი, ცულ დროს ჩავიგდათ ხელდა, თორი ვნახავდა თქვენს ბუმბულს გაშლილს, ვაფანტულს ვუბადო.“

მაგრამ დღეს, შენი დაქრული არწივი, მხოლოდ დროს უცდის, რომ დაზრდილი ბარტყებით ეკვეთოს ყვეაყორნებს, თმით ბიონობრი იყოს შენი სპასალარი, არწივო! დიდება დიდ საქართველოს! ისეთ საქართველოს, სადაც ზაქარია მხარგრძობს მოხსენებდა თამარს:

„... იხილე და განიცადე სამეფო თქვენი და სკან სიმხენ და სიქველე სათა შენთა, გულის-ხმა-ჰყავ რამეთუ მთავალი ახოვანი, მხენი და ქველი იპოვებიან სათა შენთა შორის, რამეთუ არავე არის წინააღმდეგობა მათი. აწ ბრძოლს მეფობაზე თქვენს, რათა არა ცულად ვაუქმოთ სპანი თქვენნი და დავიწყებას არა მიეცეს სიმხენ მათი...“

**მ. ვ. მ. დ. ა. საქართველო**

საქართველოს ისეთი გეოპოლიტიკური მდგომარეობა აქვს, რომ იგი ისტორიის არც ერთ ხანაში საერთაშორისო ლოდ მოქმედ მალთა გავლენის გარეშე არ დარჩენილა. იყო მთლიანი, თუ დანაწილებული, საქართველო თავისი ისტორიის უგრძეს მანძილზე მიწყვიტ საერთაშორისო რკალში იყო მოქცეული და მის მოქერას თუ მოშვებას უშუალოდ განიცდიდა.

იმ საუკუნოვან გზაზე, როცა საერთაშორისო პოლიტიკის ევანგელის აზიაში ისვენებოდა და იხსნებოდა, ან იჭრებოდა, საქართველო, ერთობლივ თუ დაყოფილი, ამ პროცესში მონაწილეობას იღებდა ხან ვით თვითმოქმედი, სუბიექტი, ხან კი ვითარცა სხვათა, დამპყრობელთა თანამებრძოლი, თანეჭერი.

უძველესი ისტორიული დ შედარებით ბურუსიანი ხანაც რომ არ მოვიხსენიოთ, ქრისტეს-მერკინდელი ისტორიაც ნათლად აღბეჭდავს, რომ თავისი გეოგრაფიული მნიშვნელობით, ძველი საქართველო, (იბერია და ლაზიკა) ჯერ დიდ ირანსა და დიდ რომს, მერმე იმავე ირანსა და ბიზანტიის შორის სადავო ასპარეზო იყო და ქართული მიწა-წყალის მეფეთა პოლიტიკა ამ უძლიერეს სამხედრო და კულტურულ ძალთა შორის იხსნიებოდა. თავდაცვის ინტერესები ქართველი ერის მესვეურთ ხან კავშირს, ხან წინასწარობას, ხან დამორჩილებას და ხან დამოუკიდებელ მომქმედ საგარეო პოლიტიკას უქარახებდა.

როდესაც საერთაშორისო პოლიტიკის გულგული არაბეთისაკენ გადაქანდა და მაჰმადიანობა შეიქმნა ახალი ისტორიის ჩარხის დამტრიალებელი. — საქართველო მუსლიმანურ ფარგალში მოქმედებდა და მთელი თავისი ძალისხმევით იარაღითა თუ მორჩილებით ეროვნული სახეობის გადარჩენად ამ მოზღვავებულ მტერს ებრძოდა. და იმ დროს, როდესაც ევროპა შემოტრიალდა და აზიას ჯვაროსნული ომებით უშეტურა; როცა მცირე აზიის აყვავებულ ველზე შაჰა-ევროპის პატრონობის საკითხი სწყიდებოდა. — საქართველოსათვის ამ ორი ძალის დაჯახება მეტად ხელსაყრელი შეიქმნა და მიქცულ არაბთა ტალღებისაგან განთავისუფლებული, ერთობლივობა და სასკლდევებოდა.

იცყებს შეტევის დავითის, გიორგის, თამარისა და ლაშას დროს და ქართული იმპერიალისმის დროში ირანისა და მცირე აზიის ქალაქებზე ფრიალებს.

საქართველომ მაინც ხელშეხებით ივრძნო, რომ ევროპა თავისი ბრძოლით წინააზიის წინააღმდეგ ქართველთა სამეფოს სიმტკიცე-ძლიერებისათვის უბარი მოკავშირე ხდებოდა; შეროდ ამით აიხსნება, რომ დედოფალი რუსულიანი, შემდეგ მესხეთი, ქართლი, ოდიში დიპლომატიურ დამოკიდებულებას მისდევდა ისპანეთ, საფრანგეთ, ბურგუნდია, ავსტრია, რომანი, და მუსლიმანურ მსოფლიოს წინააღმდეგ კავშირს სთავაზობდა.

აზიამ ხომ ეკლავ იბრუნა პირი და მონოლიური ზვირთები ევროპას დაეპირება და ოსმანლის სახელის მატარებელი თურქული ტალღები განუწყვეტლივ ევროპას ასკდებოდა, სანამ ვინის კარებთან უუქცეულ არ იქმნა. საქართველო ამ ბრძოლებს არ ასკდენია და აწარმოა მან იგი განმარტებულად და დამარცხების შედეგით.

მაჰმადიანური მსოფლიოს შეტევა ევროპის წინააღმდეგ საერთაშორისო საფარო გზებზე საბატონებლად ევროპის დამარცხებით დასრულდა; ბრძოლა მოვიო აზიის მპარტებელმა და ამ გზების-კვანძი — კონსტანტინეპოლი — სტამბულად გარდაიქცა.

დამარცხებული ევროპა მაინც გამარჯვებული გამოვიდა და შემდეგ რამდენსაც არ სცდილობდა ბრწყინვალე პორტა, რამდენ სარგებლობასაც არ პირდებოდნენ ხონთქარნი „დამარცხებულ“ ევროპას — უკანასკნელმა გზა იბრუნა და ოკეანებზე გასვლით პირდაპირ შორეულ აზიას მიადგა. ვაჟურ გზები და საგარეო პოლიტიკა ოკეანეთა გზებს გაჰყვა და წინა-აზიის ძლიერების დაღმართი დაიწყო.

ამ დღეს და უმნიშვნელოვანეს ამბავში, მაშინ დანაწილებული, საქართველო დაღმართზე დაშვებულთა თანამგზავრი იყო და პოლიტიკური განმარტება სააღმდეგო მიემო კარჩევნილობით დასრულდა.

ევროპის ინტერესთა მოკლედობას მოწყვეტილი ქართველი ერი ორ მაინც დიდ მებრძოლ სპარსულ და ოსმანურ ძალას შორის ობლა და რჩა და ქართველ მეფეთა პოლიტიკა წინასწარობის დაღმართის ცდაში იყო და ორიენტაციის გამოყენებით თავს ინახავდა.

ასეთი უნეტეუმი ვითარების მიუხედავად, ქართველი მეფენი ევროპასთან კავშირს მაინც ნატრობდნენ და თუმცაღა ეს რეალი პოლიტიკა აღარ იყო, მაგრამ პროპაგანდის აზრით მაინც განსშეკავდებოდა.

და როდესაც მერმე, უკვე მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულს, ზურბა ავალისეული ან ნიკო ნიკოლაძე ევროპას უმტკიცებდნენ, რომ საქართველო ევროპა-აზიის შემარტებელი ხიდაო, ან ეკიძოდ ინგლისს აჯერებდნენ, რომ საქართველო გზა ინდოეთისაკენ. — ისინი თავისთავად და უნებურად იმეორებდნენ იმ დებულებას, რომელიც ვახტანგ-შაჰნავაზი, მუხრან-პატრონი შტოს ქართლის პირველი მეფე (1658 — 1675 წწ.) ერთ ევროპიელს განუთქავდა და უმტკიცებდა; რომ ინდოეთში მიმავალ ევროპელებს არ შეუძლიათ საქართველოზე უკეთესი გზა მოიხანონო; თუ ევროპელები საქართველოს გზას ამოიჩვენებენ, სხვა გზას მოქმედნაც კი აღარ დასჭირდებათ, — ვახტანგ მეექვსის, კანონმდებლის ბრწყინვალე ელჩმა, სულხან ორბელიანმა, დიპლომატიური მისიით ევროპა შოიარა, ხოლო იმედაცრუებული დაბრუნდა. ცდა ბევრი იყო, მაგრამ ევროპის აკტუალური ინტერესები ახლო აღმოსავლეთის სკდებოდა და მაჰმადიანურ წრეში გამოწვეული საქართველო სკდებოდა ეს წრე ჩრდილოეთის მიმართულებით ვაერობდა.

შემთხვევითი მოვლენა არაა, რომ კახეთის მეფის, ალექსანდრეს მიერ გადადგმული ნაბიჯი რუსეთისაკენ (1492 წ.) და შემდეგ ლეენისაგან (1558 წ.) შემშობის თხოვნით მიმართული, თანამომდენედი ქართულმა სამეფოებმა მრავალჯერ განიმეორეს, და ბოლოს ევროპაზე გულგატეხილი რუსეთის მფარველობას შეუდგნენ, ტრადიციული დიპლომატიურ-პოლიტიკური თამაში ოსმალეთ-სპარსეთ შუა და ორიენტაციის სასწორის ქანაობა შესწყდა და რუსეთისაკენ გზა გაიტკიცებდა.

მაგრამ ქართული პოლიტიკა რუსეთს არ იცდებდა, რომლის შესახებ ერთი ქართველი გაკვირვებული სწერდა: — „ევნაზე რუსეთი, მინდორ-ვაკენი, ქალი უნიფხვი, კაცი მაკენი“; ქართველმა კაცმა მაშინ არ იცოდა, რომ რუსნი არიან უნდონი, მზაკვარი, მორბევი; რომ „სხვა შევიდანი იყო ვაენანი მას ზედას, რამეთუ სკდმდნ დედაკაცია, და ხელს ჰკიდებდის და ართმედის პურსა ძალითა“; რომ რუსთაგან იქნებოდა „შეკრევები ქართველთა“; არც სლოლომონ მეფემ იცოდა, რომელსაც ბედმა მწარედ ამოაკვებსა: „ვაიოდ ჩემო საფიქრო, მასტკი და მასრა, მაქო, ომ. მშ იმს რა უფსაზო, ვინც პირველად რუსნი აქო“. საქართველოს სამეფონი რუსეთს მიენდნენ, ვითარცა ქრისტიანულ ქვეყანას და იჩანეს, როცა ნდობის განადღებზე საქმე მიდგა.

„შუავარმა“, „ციგმა“, „ბრმა“, „უნიფხო“ რუსმა, როგორც ეძახდნ მას, ხელშეკრულებანი დაარდია და ქართლ-კახეთი და შემდეგ იმერეთ-გურია-აფხაზეთ-სამეგრელო რუსულ გუბერნიებად გარდაიქცა და საქართველოს სახელიც მოშალა.

მეტლთა ამბავთა მხრეკელი ზაქარია ჭიჭინაძე სწერდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მიერ მოხდენილ ანექსიის გამო ინგლისმა პროტესტი განაცხადა; საშუეხაროდ, ჩვენ ასეთი საბუთი ან ცნობა სხვაგან არსად გვიხილავს, ხოლო ვიცით ის ბრძოლა, რომელსაც 1820—30 წწ., ინგლისური პრესის ერთი ნაწილი საქართველოს დაცვისათვის ეწეოდა.

იმ დროს ევროპას ქართველი ერისათვის არა სცხელოდა: — ნაპოლეონ ბონაპარტი ევროპის ახლო ისტორიასა ჰქმნიდა და ახლო რუკას სისხლით ხახავდა, ხოლო როდესაც ნაპოლეონს ვენაში სპარსეთის დელეგაცია ეწვია და ვანულებდა, რომ ვაშით ჟამად საქართველო სპარსეთის ხელში იყო, მან ამაზე კვირი დაუქრა: ნაპოლეონი ამით რუსეთის წინააღმდეგ სპარსეთის სახით ერთ ზედ-

ეტ მოკავშირეს იძენდა და თავნიდანაც არაფერს ჰკარავდა.

რუსულ საზღვრებში დამწყვედებისა და გუბერნიებად გადაცევის შემდეგ ქართველი ერის ბედი რუსეთისა გადევჯავდა და ამ ჯაჭვიდან გასლტომის იმედის ნაპერწკალი მხოლოდ ერთხელ გამოკრთა: როდესაც ყირიმის ომი დაიწყო. ეს იყო ნაპოლეონ მესამისა და ინგლისურ-ოსმალურ შტაბთა გეგმა, რომლითაც სამეგრელოს დედოფალს რუსეთის მოპირდაპირნი მოკავშირედ იწვევდნ და რუსეთის წინააღმდეგ აზმედრებას უჩრეიდენ (1855 წ.). ოლონდ სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინემ, საესვითი რუსეთზე რომ იყო გარდნობილი, ვერ ისურვა და ქართველ საკითხზე ევროპისათვის დიდი ხნით მოიხსნა. მოიხსნა იმიტომ, რომ წინააზიის საკითხთა ფარულში ქართული მძივი აღარ არსებობდა იგი შეცვლილი იყო რუსულთა: ვარსა ქართული მძივის ევროპის პოლიტიკის ასპარეზზე გამოგორება შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ იმ ერთ შემთხვევაში, თუ ახლო აღმოსავლეთის არეზე ბატონობის ინტერესთა დატაკება მოხდებოდა.

ამ გარემოებას ქართველი მოაზრენი სათანადო დაკვირვებით სჭვრიტდენ და ოდეს 1877—78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი ასტყდა — (ცოტა ადრე დავით მიქელაძე-მეველე სწერდა: უნდა ვისარგებლოთ რუსეთის საგარეო გართულებით, ომით და აჯანყება მოვაწყუთო) — ომი, რომელიც ბერლინის ტრაქტატით დასრულდა, 1879 წ. ანავარში ილია ჭავჭავაძემ დასწერა: —

„ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე აღმოსავლეთის საქმეს ბერლინის ხელშეკრულებით წვერი შემოვრღვეა. როგორც პაკიქს, და რაკი წვერი შემოვრღვეა; ბოლომდის რღვევით უნდა წავიდეს, ჩვენ აქ რა შუაში ვართ, იტყვი მკითხველი, ეს პატარა ქვეყანა, რომელიც ამირჯავაძისა ეძახიან და სადაც უბრაბტესმა ყოველისფრით ქართველობას უბყრია, დღეს იმ ქვეყანად შეიქმნა. რომელშიაც, ბერლინის ხელშეკრულების შემდეგ, გამოიკვანდა დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა. ჩვენის ფიქრით, ესა აღმოსავლეთის საქმე, აქამომდე სლავიანებზე გაჩერებულმა, აქეთ, აზიაში გადამოიწია და რუსეთი და ინგლისი — ეს ორი დაუძინებელი მტრეტი აზიაში მფლობელობისათვის — აქ, აზიაში დაეჯახებინან ერთმანეთს და ბოლოს საქმე იქამდის მივა, რომ მაგ საქმის კვანძი აქ უნდა გაიხსნას, რით გაიხსნებდა ეს კვანძი, ხმლით გაჰკვეციენ თუ საცივილზაციო ღონისძიებითა. — ამისი გადაწყვეტილად თქმა ძნელია წინათვე, ამას კი ეტყვი, რომ პირველი ნიშნები ინგლისის მხრით, საცივილზაციო ღონის ნიშნებას მოასწავებს, ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვირდა, რომ ევინგლისის მოსდიოდეს სხვისა თუ ჩვენის სიყვარულით და ტრფიალებითა. — აქ ინგლისი თავის საკუთარის სარგებლობისათვის იღვწებს“...  
ილიას ამ სიტყვებში ღრმა ჩაწვდომითა და ქემშარტი მორსმბედელობითა საქართველოს საკითხი განკვეთილი, ილიამ იკაშინო წინა-აზიისა და ეკრძოდ საქართველოს საკითხის წარმოშობის მოახლოება; არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ილიას საქართველოს საკითხის ამოკლევია ინგლისა — რუსეთის მერტოქებობის შედეგად წარმოიდგინა, 1879 წლის შემდეგ ევროპაში ახლო ძალთა წამოჭრა და მოქმეშეთა ფრონტებზე ახალი გადაჯვრევა მოხდა.

მსოფლიო ომის მსვლელობაში და მის შედეგად დაბოლოს, ამდენი ხნის, საუკუნეთა განმავლობაში ნანატრი ევროპა საქართველოში შემოვიდა... ეს იყო პირველი შემთხვევა ჩვენი ისტორიის შარაზე, როდესაც ევროპა უშუალოდ, პირდაპირ საქართველოს შეეხო და ევროპული პოლიტიკის გაერმოში ქართული სახელმწიფოებრივი საკითხი დაიბადა. (ჩვენ აქ, რასაკვირველია, განზე დავსტკეით ქართულ ნაციონალისტთა მაშინდელი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ; აგრეთვე ის ნაბიჯიც, ნაციონალისტებმა რომ გადადგეს 1907 წ. ჰაავის განიარადების კონფერენციის წინაშე სადაც მეშორანდუმით მოთხოვნილ იქმნა რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის დაცვა).

ილია ჭავჭავაძე შემოაღინწულ წერილში იმ დებულებასაც ასახებთება, რომ ევროპა საქართველოს საკითხს „ჩვენის სიყვარულით და ტრფიალებით“ კი არ მოქიცდებს ბელს, არამედ „თავის საკუთარის სარგებლობისათვის იღვწებს“... რა იყო ეს საკუთარი სარგებლობა? ახლანდელი ტერმინით რომ ესთქვათ: — საქართველოს გეოპოლიტიკური ვითარება, უეუკონომიკა, სტრატეგია, ბუფერობა და სხ.

ილია ჭემშარტიც მსჯელობდა და სწერდა: — „ჩვენ აქ გვირდოდა, როგორც ლიტონს მიმბიანეს, შეგვეჩინა, რომ აზია საერთოდ და ჩვენ თვითონ საკუთროვ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც, თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთსა-ექვსის წელიწადში, მაგრამ ის მიწისყელი, რომელსაც კავკასიის ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვა და სხვა ხალხის სისლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის უღვღისა და ცოლის მიზეზად იქნება კიდევ“...  
ჩვენ ამ საკითხს სხვა დროსა და ალაგას შევხებთ; ჩვენს წერილებში: — „სანათო პოლიტიკა და კავკასია“, „ევროპა და კავკასია“, „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის“, „ნათის საკითხი და საერთაშორისო ომი“ (იხ. მხედარი).

„პეტროლიუმპოლიტიკ დერ ველტ უნდ დას შოკლავკავიინს“, „დი ერდოელპოლიტიკ დერ ველტ უნდა პერსიინ“ — ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში ევროპის მოსვლის მიზეზთა კონკრეტული საბუთები; ვეჭრობთ, საქმოდ განვიხილეთ და აქ აღარ განვიმეორებთ.

ეტყვი მხოლოდ, რომ მსოფლიო ომის დროს დადგა ხანა, როც კავკასია-საქართველოს და ევროპის ურთიერთ სარგებლობის დებულებებზე აგებულ ინტერესთა შეთანხმება დაიწყო. ამგვარად, პირველად ფოთში დასდგა ეყვი გერმანიამ.

ევროპა მოვიდა. ილია ჭავჭავაძის შემოდგომის აღმოსავლეთის ცივილიზაციისათვის ყურადღება უნდა მიექციათ: იგი ამბობს: „ეს პატარა ქვეყანა, რომელსაც მოეკრებოდა საქართველოსათვის უბრაბტესმა ყოველისფრით უბრაბტესმა“... და ეს ნათქვამი დადასტურდა შემდეგ. საქართველოს გამორჩენისათვის იქვე ევროპული პოლიტიკის ინტერესთა არეზე მან, საქართველომ, თან წამოაყენა კავკასია და საქართველოს პოლიტიკა ამწირად კავკასიური შეიქმნა, კავკასიური უნდა გამხდარიყო.

გაერთიანებული საქართველო წარსულში მარად კავკასიური პოლიტიკით ხელმძღვანელობდა და ქართლ-კახეთი მუდამ ამ გზაზე იგდო. ეს იყო ნამდვილი ათვისება და შეგება საქართველოს გეოპოლიტიკური ვითარებისა და ისტორიისა, ხოლო თუ ასეთი შეგების მატარებელი არ ვახდებოდნ ახალი საქართველოს მსვეურნი; საქართველოს რესპუბლიკის მესაქენი თუ კავკასიური პოლიტიკის ვერ გაუგებდენ. — ქართული ინსტიტუს მაინც უნდა გამოეღვიძებინა იგი.

საქართველოს რესპუბლიკის დროს, მართალია, კავკასიური პოლიტიკის წარმოების ცდა არსებობდა, მაგრამ ეს ცდაც ხდებოდა არა ქართული ეროვნულ-პოლიტიკური შეგების წყალობით, არამედ ინტერნაციონალურ ზრახვებზე აგებული, ხალხთა ძმობა-შეგობრობის აზრით გამოწვეული მიმართულების შედეგად, ამიტომ იყო, რომ კავკასიის სივრცეში ქართული პოლიტიკა გაბერწდა და ნაყოფი ვერ მოილო, სოციალურ სიბრტყეზე წარმოებული ქართული პოლიტიკა კავკასიის ფარგლებში, ცხადია, დინამიკს მოკლებული და გამოუხდევარი იყო; საქართველოს ხელმძღვანელთა მოუშინადებლობამ კავკასიური პოლიტიკისათვის და მისი ცდის დამარცხებამ კავკასიის თავი წააგებინა და ევროპას მოსწყვიტა. ამან ჩვენ მეზობელი მეთაურებიც დამაშინებდა არაინ, ჩვენ არა ერთხელ შეეხებთ ამ საკითხს და ახლა მხოლოდ მოკლედ აღვჯუსხავთ.

გერმანიის წასვლა კავკასიიდან იყო იძულებითი და ნაძალადევი. — ევროპის ფრონტზე ომის შეწყვეტის შედეგად, მის მაგივრად, როგორც ილია ჭავჭავაძე ნატრობდა, ინგლისი მოვიდა.

მოვიდა და წავიდა. საბედისწერო საკითხია: — რატომ? (დასასრული შემდეგ)

**მ. ვ. მ. დ. ა. საქართველო**

ყრილობის დარბაზი მორთულია ეროვნული და თეთრ გიორგული დროებით, კედლებზე ჩამოკიდულია წმიდანის ვახის ჯვარი და მაგიდაზე გადაფარებულია თეთრ გიორგული დროშა, თეთრგორგოელნი და მომატიეებელნი, — უმთავრესად ახალგაზრდები და მანდალოსანნი, დანიშნულ დროზე თავს იყრან და რუსეთ მოშურგის 27- ნომ. დარბაზში, სტუმართა შორის ბრძანდება ქართული კოლონიის თავდადომარე ბ. დავით სხირტლაძე. სრულ ომის საათზე, ოტომბრის 18-ს, ეროვნული ერთობის დარბაზისათვის თეთრი გიორგის მეთახე ყრილობა განხნა მეთაურის მოადგილე კალე სალიამ და ყრილობის სახელით თეთრი გიორგის დარბაზისაგან მეთაურად გამოაცხადა შალვა მალაყელი, ყრილობის წევრები და სტუმრებიც ეფხზე წამოდგნ და თეთრ გიორგლებმა ივალდეს თეთრგორგული ჰიმნი.

კ. სალიამ აღნიშნა, რომ ყრილობაზე ესწრება, მანდატების ჩათვლით, 81 წევრი, ახალმა მეთაურმა, შალვა მალაყელიმ ყრილობას მადლობა გამოუცხადა და ტრადიციული სიტყვა მიუძღვნა ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნას.

შემდეგ ყრილობა შეუდგა მოხსენებათა მოსმენას. მეთაურმა შალვა მალაყელიმ წაიკითხა თეთრი გიორგის დებულებანი მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, ეს დებულებანი ყრილობამ ერთსულთვანად დაადასტურა. სიმ. ბერიყანამ ილაპარაკა ქართულ ეროვნულ დინამიკაზე და კალე სალიამ თეთრი გიორგის წარმოშობა-ტაქტიკაზე; ვ. ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება : ევროპა და საქართველო, ყველა მოხსენება ყრილობის მიერ მიღებულ იქნა და აქვე იტკლება.

მოხსენებათა შემდეგ შალვა მალაყელიმ მადლობა გამოუცხადა დამწერ საზოგადოებას, ამაზე საპასუხოდ ბ. დავით სხირტლაძე მიესალმა ყრილობას და გამოსთქვა რწმენა, რომ ქართული ნაციონალიზმი, ეს ზეკლასობრივი მოძრაობა, გამარჯვებით დაგვირგვინდება. ყრილობა და სტუმრები ტაშით შეეგებნ ბ. დავით სხირტლაძის სიტყვებს.

ყრილობის მერე ნაწილი, რომელსაც მარტო წევრები დაესწრენ, შეეგებოდა ორგანიზაციის საკითხებს, კრების განხნისათვის მეთაური მალაყელი მიესალმა ახლო წევრებს, რომელთაც მოხსენებათა მოსმენის შემდეგ, მოსულ იყო. ვ. რიგებში ჩადგომა. შემდეგ კ. სალია მოახსენებს ყრილობას წარსული მუშაობის შესახებ; ყრილობა ერთხმად დასტურებს მთავარი სამდენოს მიერ გაწეულ მუშაობას და გადადგმულ ნაბიჯებს; და მადლობას უცხადებს როგორც სამდენოს, ისე კერძოდ კ. სალიას, შემდეგ ვ. მალაყელიმ აკეთებს კონკრეტულ საგარეო მუშაობის შესახებ; ყრილობამ დაადასტურა ახლად წარმოდგენილი წესდება; დასასრულ მეთაურმა გამოაცხადა მთავარი სამდენოს შემადგენლობა: — კ. სალია, ს. ბერეიანი და ვ. ნოზაძე; ხოლო საპნოს ხელმძღვანელად დანიშნულია ნ. მალაყე და დინი და მდინე და მარჯანიშვილი; თ. გ.-ის კულტურულ და ფინანსიურ სექციის ხელმძღვანელად გიორ, ნოზაძე, ხაზინარად ენო გახოკიძე, ყრილობა დაიხურა თეთრ-გიორგული ჰიმნის გალობით.